№ 2951

07/06/2023

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - "საქპატენტის"
თავმჯდომარეს **ბატონ სოსო გიორგაძეს**

ბატონო სოსო,

როგორც თქვენთვის ცნობილია ა.წ. 14-16 ივნისს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ორგანიზებით ქ. თბილისში გაიმართება გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი.

გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მასშტაბური ღონისძიებაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და დაინტერესებული წევრი ქვეყნის თანაორგანიზებით იმართება 2 წელიწადში ერთხელ სხვადასხვა ქვეყანაში. 2023 წლის გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი გლობალური ფორუმია გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სისტემების გამოწვევებისა და პერსპექტივების, ასევე, დანერგილი სიახლეების განხილვისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. სიმპოზიუმის ფარგლებში, განხილული იქნება გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გეოგრაფიული აღნიშვნების გავლენა ეკონომიკასა და მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობაზე, გეოგრაფიული აღნიშვნების როლი ქვეყნების სტრატეგიულ დაგეგმვაში და სხვა.

2023 წლის გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური დირექტორის მოადგილე, ევროკომისიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO), წარმოშობისა და ხარისხის ეროვნული ინსტიტუტის (INAO), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO), კვების პროდუქტების საერთო სახელწოდებების კონსორციუმის (CCFN), გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „oriGIn“-ისა და, ასევე, საქართველოს მთავრობის, სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. სიმპოზიუმს დაესწრებიან, აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების უწყებების ხელმძღვანელი პირები, გეოგრაფიული აღნიშვნების ექსპერტები და სფეროს სპეციალისტები, წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები სხვადასხვა ქვეყნიდან.

გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი გაიმართება მიმდინარე წლის 14-15 ივნისს, მის.: ქ. თბილისი, სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი“. ღონისძიების ჩატარების ადგილი შეირჩა მიმდინარე წლის მარტში WIPO-ს შემფასებელი მისიის მიერ, ვიზიტის შემდგომ. ორგანიზაციის წესებისა და დაწესებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე,

შემფასებელი მისიისთვის შეთავაზებულ იქნა რამდენიმე სავარაუდო ლოკაცია, თუმცა, სიმპოზიუმის ჩატარების ადგილად შეირჩა სწორად ზემოხსენებული სასტუმრო.

სიმპოზიუმის ფარგლებში, 14 ივნისს, ასევე გაიმართება ქართული გეოგრაფიულის აღნიშვნების პოპულარიზაციასა და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქართული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების პროდუქტების გამოფენა-დეგუსტაცია.

16 ივნისს სიუმპოზიუმზე დამსწრე უცხოელი მონაწილეებისთვის მოეწყობა კულტურულ-სანახაობრივი ექსკურსია შატო მუხრანში (ქ. მცხეთა, სოფელი მუხრანი), სადაც დაგეგმილია გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის წარმოშობის ადგილის და წარმოების დათვალიერება, დეგუსტაცია, მასტერკლასები, სადილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს სიმპოზიუმისა ჩატარების უზრუნველსაყოფად:

- შესყიდულ იქნას სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასის“ კონფერენციების ორგანიზების მომსახურება, რომელიც თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს საკონფერენციო დარბაზს და ამავდროულად საგამოფენო სივრცეს; სცენას; პროექტორებს; ეკრანებს; გახმოვანების სისტემას; უსადენო მიკროფონებს; სათარგმნ აპარატურას; სუფლიორებს; მაგიდის მიკროფონებს; ლედ ტელევიზორს; თავზე გასაკეთებელ მიკროფონებს; დინამიკებს; ხმის სისტემით მომსახურებას; თარჯიმნის ჯიხურით მომსახურებას; ზუმთან კავშირის უზრუნველყოფას; ინტერნეტით მომსახურებას; ვიდეო გადაღებისა და ტრანსლაციის უზრუნველყოფას. ასევე, წყალს, ბლოკნოტსა და კალამს თითოეულ მონაწილეზე, ბუფეტის ტიპის 2-2 ყავის შესვენებას და ლანჩს ორი დღის განმავლობაში და სხვ. თანდართული დოკუმენტის (ინვოისი, დანართი N1) შესაბამისად;
- ზემოაღნიშნული ღონისძიების ორგანიზების მიზნით, შესყიდულ იქნას შესაბამისი მომსახურება, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: ლედ ეკრანს, პრეს ბანერს, სცენის ე.წ „შუბლის“ შესაფუთს (პევეხა), სიმპოზიუმის სივრცით ფიგურას (GI), ორი დღით ფოტოგრაფის მომსახურებას, ზუმ პლატფორმით ტრანსლირებისთვის პორტატულ ლეპტოპებს (8 ერთეული), ვიდეო მიქსერს, აუდიო ტექნიკას, ღონისძიების მუსიკალურ გაფორმებას, თანდართული დოკუმენტის (ინვოისი, დანართი N2) შესაბამისად;
- შესყიდულ იქნას ქართული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების პროდუქტების გამოფენა-დეგუსტაციის მომსახურება, თანდართული ტექნიკური დავალების (ტექნიკური დავალება, დანართი N3) შესაბამისად;
- 16 ივნისს, სიუმპოზიუმზე დამსწრე უცხოელი მონაწილეებისთვის (80 პერსონა) დაგეგმილ კულტურულ-სანახაობრივი ექსკურსიის ორგანიზების მიზნით, შესაბამისი მომსახურების შესყიდვა რესტორანში „შატო მუხრანი“ (ქ. მცხეთა, სოფელი მუხრანი), რომელიც მოიცავს ეთნო ტურს ღვინის წარმოების ადგილზე, ღვინის დეგუსტაციას, მასტერკლასებსა და სადილს (ივოისი, დანართი 4 და 5).

ასევე, დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში საქპატენტმა უნდა უზრუნველყოს:

- ღონისძიების მასალების - ბრენდირებული ბეჯი (სრული კომპლექტი), სახელის აღმნიშვნელი წარწერები (ე.წ „ნეიმ თეგი“), კალამი, ნაჭრის ჩანთის შეძენა, საწყობიდან გამოყოფა და დამსწრე საზოგადოებისთვის გადაცემა (300 პერსონაზე);
- ბრენდირებული ბლოკნოტის ბეჭდვა და საწყობიდან გამოყოფა (300 ერთეული);
- A3 ფორმატის ბრენდირებული ქაღალდის ჩანთების შეძენა (50 ერთეული);
- ღონისძიების ყველა მონაწილისთვის - სიმბოლური საჩუქრის გადაცემის მიზნით, ღვინის (ბრენდირებული ღვინო „ყვარელი“ - 300 ბოთლი), ღვინის ბრენდირებული ჩანთის (300

ერთეული), ღვინის ბოთლის ბრენდირებული წებოვანი ეტიკეტის (300 ერთეული) და ჩურჩხელების 2 ცალიანი ნაკრების (300 ერთეული, კომპანია „ბადაგი“) შეძენა და საწყობიდან გამოყოფა;

- ღონისძიებაზე დამსწრე საერთაშორისო სტუმრების აეროპორტში დახვედრა/გაცილების უზრუნველყოფა;
- ღონისძიების საერთაშორისო სტუმრების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა 80 მონაწილეზე: 16 ივნისი - შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი - შატო მუხრანი - შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი;
- ღონისძიების საერთაშორისო სტუმრების გამასპინძლების მიზნით სარესტორნო მომსახურების შეძენა;
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიოს ორგანიზაციის (WIPO) გენერალური დირექტორის მოადგილისთვის, ვანგ ბინინგისთვის სიმბოლური საჩუქრის შეძენა და გადაცემა;
- ღონისძიების საერთაშორისო ორგანიზატორებისთვის (რომლებიც ჩამოდიან 11 ივნისს და დაგეგმილი ღონისძიებების სრულად ორგანიზებაში იღებენ მონაწილეობას) გადასაცემი სიმბოლური საჩუქრების, ბრენდირებული ჰუდების (25 ერთეული), შეძენა და საწყობიდან გამოყოფა;
- ღონისძიების ჩატარების ადგილას ზემოხსენებული საქონლის ტრანსპორტირება.

პატივისცემით,

მარიამ კუზანაშვილი

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსი